



საქართველოს მემორიალი № 2

იუმორიზაცია
ქურნალი

უ ი რ მ ე მ ვ ი მ ე ლ ი



შიო მღვიმელი.

ჩვენ—ქართველნი ვართ და არც ერთი რამ ქართველური უტუხა არ არის ჩვენთვის.

უღარესათ დამხასიათებელი ჩვენი ქართველური თვისება არის:

— გვაჭქვს და ჯა გვაჭქვს.

ჩვენა გვაჭქვს ჩვენი ენა, მდიდარი, მოქნილი, ფერად მრავალი და მკვეთრი, ენა „ქართლის ცხოვრებისა“, „გუფუხის ტყაოსნისა“, ქართული „დაბადებისა“...

და ჩვენ მიანც არა გვაჭქვს ჩვენი ენა, რადგან დღეს, რამდენი ქართველი მწერალიცაა, იმდენი ქართული ენაა, იმდენი თავისებური საგრამატიკო წესი და კანონია, იმდენი ლექსიური თავისებურობაა.

ჩვენა გვაჭქვს ჩვენი ისტორია—ძველის ძველი, ძველი, საშუალო და ახალი—ისტორია, რომლის მრავალი ფურცელი იქნებ არა ნაკლებ წარმტაცი და საყურადღებო იყოს, ვიდრე სხვა რომლისაზე კულტურულ ერის ისტორიის ფურცლები...

და ჩვენ მიანც არა გვაჭქვს ჩვენი ისტორია, რადგან ის საყურადღებო ვაცრცენილა და განიავებულია და არაინი არის, რომ აკრიფოს, შეაგროვოს და აკინძოს.

ჩვენა გვაჭქვს ჩვენი ხელოვნება—მუსიკა, მხატვრობა და ხურთმოძღვრება-- და ჩვენი ხელოვნების ნაწარმოები არც ისე უზნიშვნელოა, რომ გვერდი აუაროს და ზედაც არ შეხედო, ან თუ შეხედო, წამსვე თვალი მოაშორა...

მაგრამ ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის და დღეს ჩვენ ძველ ხელოვანთ არა ჰყავთ მემკვიდრენი და პირისუფლანი, რომ ღირსეულათ განაგრძობდნენ მათ შემოქმედების და თავისი წვლილიც შეჭკონდესთ ნაანდერძვე საღაროში. მაშ დღეს არც ხელოვნება გვაჭქვს.

ჩვენა გვაჭქვს ჩვენი თეატრი: გვაყავს მსახიობნი, რომელიც წარმოდგენებს მართავენ და ხალხი, რომელიც წარმოდგენებს ესწრება...

მაგრამ ჩვენ მიანც არა გვაჭქვს თეატრი, რადგან ჩვენ „თეატრს“ არც შინაარსი აქვს გარკვეული და ნათელი და არც გარეგანი სახე და ჩვენს მსახიობთ არც სათანადო შკოლა და არც ცოდნა გააჩნიათ...

ასევე ითქმის ჩვენს მწერლებზედაც—პოეზიაზე, ბელეტრისტულ ლიტერატურაზე, პუბლიცი-

სტიკაზე—და აგრეთვე ყველა სხვა დარგზე ჩვენი კულტურისა.

ერთი სიტყვით—გვაჭქვს და არა გვაჭქვს კულტურა.

ჩვენზე ზედ გამოჭრილია ის სტერეოტიპული თქმა, რომლითაც ზღაპრებს ვიწყებთ ხოლმე: იყო და არა იყო რა.

ჩვენ ვართ „იყო და არა იყო“ რა ხალხი“.

და ეს დახასიათება ვანა მარტო ჩვენს სულიერსა და გონებრივ ცხოვრებას ეფარდებოდა?

ვერც ერთი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამ ფორმულას ვერ გაექცევა.

ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ ვინუგვეთ:

— მართალია ჩვენ „იყო და არა იყო“ რა ხალხი“ ვართ და ჯერჯერობით არა გვაჭქვს გარკვეულ ყალიბში ჩამოსხმული კულტურული ღირებულებანი, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ განახლებულ კულტურულ ცხოვრებას და მხოლოდ ახლა გქმნით ფრთხილათ და ნელა ყოველსავე იმას, რაც მასალათ უნდა მუხმარდეს და საძირკველათ ჩაეყაროს ჩვენს გონებრივსა და სულიერ შენობას.

მაგრამ ვაი, რომ გვიპასუხონ:

— როგორ უნდა აავით თქვენ ის შენობა, თუ კი არც ერთ სავარგის მასალას არ არჩევთ და ცალკე არ ინახავთ, ფასს არა სდებთ და მიგდებულნი გაქვით.—

და მრავალ სხვა მაგალითებთან თუნდ შიო მღვიმელის მაგალითი წამოგვიყენონ.

მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუპასუხებთ და თავს ვერ ვიმაართლებთ, მაგრამ არც გავწითლდებით, როგორც არ გავწითლდებულავართ ხოლმე, როდესაც ასეთივე საყვედურით მოუმართავს ჩვენთვის სინიდის—აკაის, ვაჟას, ქოლა ლომთათიძის და სხვათა სიკოცხლის დროს...

გულში კი ვაფიფქვებთ:

— ყაწვილო, რა გვაჭქარებს? ვანა შიო მღვიმელი ჩვენ ხელთ არ არის? სად გაგვექცევა? სადაც აკაკი და ვაჟა ვერ გაეჭედა სიკვდილს, შიო მათუსალა ხომ არ არის, რომ მთავარს, შეიბერდეს და ცოცხლიც ეას ეიკრას... მოითმინე, თუ მოკვდება და ნახავ, თუ ვერ გამოვარჩევთ და ვერ ვაფასებთ!

და ჩვენ ნერწყვიც კი მოგვადგება, ოცნების რომ გავშლით და შიოს დაკრძალვის წინასწარ წარმოვიდგინოთ:

— წინ მიდიან ანგელოსებათ გამოწყობილი



ერთოსანი ბავშვები და ია-ვარდს უფენენ გზაზე.
ნემდებ ბავშვებისავე მგალობელი გუნდი. მერე
ცხელარი. ცხელარს უკან მისდევს სამლოცოვართო
შემოსილი სამი პატარა ქალი, რომელთაც ხელში
აიძებ დაწყვეტილი ქნარი უჭირავსთ...

მაგრამ, უკაცრავათ: თქვენ იქნებ ვერც კი
იცნობთ შიო მღვიმელს?

მართლაც-და, რა გასაკვირველია, შიო მღვი-
მელს ვერ იცნობდეთ!

მე სულ დამაიწყდა, რომ თქვენ დიდები
მოძინდებით, დარბაისელები და ღრმათ მოაზროფ-
ნენი და ალბათ სათაკლოთაც კი მიგანინათ შიო
მღვიმელის ცნობა.

თუ ასეა, უმორჩილესათ გთხოვთ, გაისარ-
ყეთ და თქვენ პატარა ბავშვს ჰკითხეთ, ვინ არის
შიო მღვიმელი.

რაო? ვერ გიპასუხებთ? ჯერ ქართული კითხვა
არ იცის?

რა გაეწყობა ისევ მე უნდა გავიცხადოთ მი-
ვიწინაობა.

შიო მღვიმელი ბავშვების პოეტი გახლავთ,
ბავშვების რჩეული პოეტი, მათი სათუთი გულის
ამღვილი მესაიდუმლე.

ვისაც ბავშვობისას მოსწრებია მისი ლექსები-
ა და პოემების კითხვა, კარგათ ეხსომება ის წუ-
რები, მაშინ რომ განუტღია გიგასთან, თამრო-
თან, ვანოსთან და მრავალ სხვა პატარა გმირებ-
თან ერთათ.

შიოს დაუფასებელი ღირსება ის არის, რომ
აუცხოოთ იცნობს პატარა ადამიანის ნაზი გუ-
ლის ყველა კუნტულს და ყოველსავე მოძრაობას,
ციხის რა საშველებით ააფეთქოს ეს გული, რო-
მორ გარინდოს, როგორ ათართოლოს.

შიოს შემოქმედება ისეთივე გულწრფელი,
უნებრივი, ძალადაუტანებელი და ნაზია, რო-
მორც თვით ბავშვი და ამიტომაცაა რომ ეგრე
იღვათ უუვართ პატარებს თავიანთი პოეტი.

ბავშვებს ხშირათ ყვავილებს აღარებენ. მაშინ
იონამღვილი ხელოვანი მებაღვა და მისი მოვ-
ლა, მოწყვეა და მარგვლა, მისი შემოქმედება,
შირათ მზისა და მზაპუნა წვიმის მიგიერობას უწყ-
ენ ფერად ყვავილებს:

შიოს პოეზია მარგლავს ბაღლების გრძნო-
ას, რწყავს და ზრდის მათი სულის კეთილ მოძ-
აობას და ისე გაღაფურჩქნავს და გაშლის ხოლ-
ე სიხარულთა და წრფელი მზიარულებით მათ
ელს, როგორც მზის სხივი კოკორს.

30 წელიწადია — ეს კეთილი და ოსტატი მე-
ბაღე სიყვარულით თავს დასტრიადუნს თავის ძირ-
ფას ყვავილებს და ამ დღეებში ქართველი საზო-
გადოება საგანგებო დღესასწაულით მადლობის გა-
დახდას უპირებს მას.

მაგრამ ეს დღესასწაული იმდენათ შიოსი არ
იქნება, რამდენათაც ჩვენი ბავშვებისა.

შიოს პოეზია ყველა ქართველი ბავშვის გუ-
ლის დამატკობელი და გამზარებელია.

ვეცადნეთ, რომ ამ დღესასწაულისთვის მთე-
ლი საქართველოს ბავშვებთან ერთათ შიოს ბავშ-
ვებმაც გაიხარონ...

შ. შ.

მ დ რ ა ლ ა

პატარა გვრიტებო,
პატარა შაშვებო!
ამ მკირე შარდას
თქვენთვის ვსწერ, ბავშვებო!

მგელი რო შეგხვდებათ,
(ან პედაგოგია)
დამფთხალი რათა ხართ
იმ ქამად ზოგია?...

აზრი რათ გნებავთ?
ან საქმის უნარი
რისაგან გიხდება
თქვენ დასაწუნარი?
ცხალია გრძნობა რამ
გულს ისადგურებსა
იმისთვის ვინმევით

დამსწვეტავთ ყურებსა.
ამ გრძნობას სახელი
აქვს ორ-მარცლოვანი
და ორში, რომელზეც
მიდგვს არჩევანი
თქვენ იგი აიღეთ,
ის შემოინახეთ...
(რამეთუ ორივე
ერთგვარია სახით.)

ახლა კი სხვა ვსძებნოთ
სიტყვა საზარელი...

დღეს მისგან ირწყვება
სისხლით შთა და ველი.
ურციხესა ხალხსა ნთქავს,
უზომო ქონებას...
უთვალავს გონივრულ
კარგ გამოგონებას.
დღეს უღვას ზეიმი
მას ქვეყნის პირზედა
და ავალად გვიშადებს
იგი ჭირს ჭირზედა.
ვაი მას... დრო შოვა
მოსპობენ სრულადა...
დღეს კი თქვენ კუდს მისა
ეკვეთედ მტრულადა,
და ორი ანბანი
იქიდან ნარჩენი
მასლა იქნება
შარდის საშენი.

ერთგვარი წვენია,
ერთგვარი სასმელი,
და... როცა ზემდებათ
ჩაჰყოლაბავს ქართველი,
მაშინ მას ღუნია
ფეხებზე ჰკილია,
იმისი სურვილიც
უზომით დილია.
მთას წიხლით დაანგრევს
კოშკს წყიპურტებითა
აგიკლებს ტრაბახით
და თაეი: ქებითა...
მისგვარი ქართველი
მაშინ სხვა ძვირია
გულის ლახვრად ესობა
მამულის ქირია...
აი, ეს სასმელი
გაეყოთ შვად, წყვილადა ..
და წინა, შარადას
შეესძინოთ შვილადა.

თქვენ აწ ტყეს მიმართეთ...
ან კი იქ რა გინდათ?!
შორი მოუზავრობა
არც გეჭირია დიდათ.
ბატარა ცხოველი
ტყეში რო დასუცქავს,
(ბეწვიანი კუდი


ცოტათ კატას უვავს)
ქალაქშიც ბევრია
(თუმცა მარტო ტყავი
„მანდილოსნებისთვის“
მხრების მოსართავი).
მოგვლიჯოთ ამ ცხოველს
ჩვენ ბოლო ანბანი
და შარდისთვის
შევიანხოთ სხვანი.

ხუროთ მოძღვრებაში
წესი გვინდა, რიგია...
ჯერ უნდა დავსწეროთ
წინ რა ენახეთ იგი...
შემდეგ მას შეორე
ნაშთი მივაღვენოთ
და მთელი შარადა
ეკრე ავაშენოთ.


შეხედეთ?
ვინაა?
ეს ვინ გამოვიდა??
მწერალი ძიაა,
თუ მოხუცი წმინდა??
ეს თქვენ უნდა ახსნათ.
თქვენ უფრო შეგფერის
გარჩევა იკოდეთ
მგოსანის
და ბერის.

კოლო.





მკიმიე სკკითხი



ქ. შ. წ. კ. გ. ხ. ნეტავი ვიცოდე რომელი დასწონავს ამ ორში?

უნუგეშო მდგომარეობა.

ახლაც თვალწინ მიდგას პატივცემული დავით კარიკაშვილი, როცა მან განმარტა წ. კ. საზოგადოების „უნუგეშო მოვალეთა“ საკითხი და სხვათა შორის სთქვა.

— ბატონებო, შიო მღვიმელის ვალში ჩვენ მისი თხზულებები დაგვჩაბა...

იმ დროს მე ვამთავრები ბ-ნი იპოლიტე ვართავას ცხვირის წარცხენა ფერდობს და როცა ზემოთ აღნიშნული სიტყვები გავიგონე უნებლიეთ გადავიტანე ჩემი თვალთხედვის ისარი ნატურშინიკიდან ორატორზე და ალბათ ამიტომ აღიბეჭდა ჩემს მესხიერებაში ასე ცხოვლად სურათიცა და სიტყვებიც პატივცემული თავმჯდომარისა.

— აჰაა, მაშ თქვენ არა გსურთ მოხსნათ ვალი ჩვენს ისედაც ხელმოკლე მგოსანს, თქვენ გინ-

დათ წაართოთ მას ერთადერთი ნუგეში, მისი თხზულებები მეთქი, ნიშნის მოგებით ვფიქრობდი ჩემს გუნებაში და შურის ძიებად ვემზადებოდი.

სახლში დაბრუნებისთანავე აღნიშნე ჩემს უბის წიგნში შიოს საიუბილეო ნომრისათვის ორი კარიკატურის გეგმა ამ საერთო სათაურით: **ორგვარი დაფასება**. უნდა გამოგიტყდეთ ღიღი სიხარულსა და სიამოვნებას განვიცდიდი ამ გარემოებისა გან, ვინაიდან საკარიკატურო გეგმის ძებნა თითქმის უფრო მემძიმება ვიდრე თევღორე ღლიონტის წერილების კითხვა.

გასული წლის 31 დეკემბერს, როცა მთელი თფილისი ახალ წელსა და ახალ ბედნიერებას ეგებებოდა, მე ძველი კალმით ხელში ჩემს საწერ მაგიდასთან ვიჯექი და თავგამოდებით ვხატავდი ჩემს კარიკატურებს. ახალი წელი მოვიდა, ძველი უკვე ისპანიამი იქნებოდა ჩასული, რომ მე უკანასკნე-

ლი ხაზებმა გავესვი საუცხოვო სურათებს, ღონივრათ ამოვიფუნე იტე უძილობისაგან შეწუხებული თვალეზი და ავდექი. ორ სურათს აკლდა მხოლოდ ორი რიცხვი, სახელდობრ შიო მღვიმელის ვალის რაოდენობა და ეს კი კანტორაში უნდა გამეგო.

ახალ წელიწადს მშვენიერი სადილი გიახელით, ვინაიდან საუცხოვო საქმელებთან ერთად ხასიათიც ჩინებული მქონდა, ვინაიდან უჯრაში ორი მზა-მზარეული სურათი მეგულეგბოდა.

მ იანვარს დილით ვეწვიე გამგეობის კანცელარიას, სადაც მღვიმე ჩამგეობისა უწყებებს ვამალებით ხელს აწერდა. მივულოცეთ ერთმანეთს ბენდიერი დღე და მე პირდაპირ საქმეზე გადაველო.

— ვარამე, ერთი გამაგებინე, გენაცვა, რამდენი მართებს შიო მღვიმელს წერაკითხვის საზოგადოებისა...

— არაფერიც არა მართებს...

— ნუ კი მეხუბრები.

— რა დროს ხუმრობაა ამ ახალ წელიწადს, მაგრამ მაინც არაფერი არა მართებს.

— კარგი ერთი თუ გიყვარდე. არა მცალია, ძლიერ საქირაო ჩემთვის ამის ვაგებია.

— რა გქნა ყალბ ვეჭილის ვერ შევუდღენ და ისე არაფერი არა მართებს. აი თუ გინდა ვასოსა ვკითხოთ, ვასო, მართებს რაიმე ჩვენი შიოსა?

— არაფერი. ემართა მაგრამ საზოგადო კრებამ მოუსპო ვალი ვგონებ 1410 წელში.

რალაცამ დამკრა და თავიდან ვიდრე ფეხის ფრჩხილებამდე ერთნეტელმა დამიარა.— როგორ? ნუ თუ მართლა აღარა მართებს შიოს წერაკითხვის საზოგადოების? ნუ თუ ასე დამელუბა ჩემი მთელი ღამის შრომა? ვაი გატეხილო ძილო, დაკარგულა ქეიფო, დალუპულა შრომავ! კარგათ აღარ მახსოვს, მაგრამ მაგონდება რომ ისე ვარლამმა მომასულიერა პაპიროზის კვამლით და მკითხა ჩემი შეწუხების მიზეზი. მე კი ენა აღარ მემორჩილებოდა, აზრი მერეოდა წარმოიდგინეთ თვალზე ცრემლებიც მომეგება.

და განა მარტო უძილო ღამე, დაკარგული ქეიფი და დალუპული შრომა იყო ჩემი მწუხარების მიზეზი? არა, არა. მე მტანჯავდა წარსულიც, მაგრამ უმეტეს მომავალი: რა გქნა, რა დავხატო, როდისღა დავხატო...

— მიირთვიე გოზინაყი, რა გქნა, რა დავე-

მართათ, ნუ თუ ისეთი ცუდი ნახელაია? მეკითხებოდა წ. კ. კანცელიარიდან დახრუნებულს ჩემს დიასახლისს.

მეწუხებოდა

მე ავიღე ერთი მოზრდილი ნაქერი, მგონ მთელათ ვადავყუაბე, რადგან არც გემო და მიი უმეტეს არც სურნელება მისი არ გამიგია.

— აი საცივი ვასინჯეთ. მშვენიერი ვაკეთებულა.

მე მოვსტეხე ლუქმა კარგათ ამოვაწე და იყო უნდა ჩამეყუაბა, რომ დიასახლისი მეცა დავამომგლიჯა.

— რა გქნა, ვის ვაუგონია ჰორისა და გარჩიცის ჰამა, ამოდენა ვარჩიცა.. ხომ გული მოგწვათ და ცეცხლი ვაგირინათ.

აღარ მახსოვს შემდეგ რა მოხდა, როგორ ამროდის ვათავდა სადილი, როგორ დავბრუნდი ბინაზე. ჩემს აზრში მხოლოდ ის თავზედი საზოგადო კრება გუგუნებდა, რომელმაც ასეთი საშინელ ამბავი მომიშადა.

— მიკვირს ღმერთმანი ახირებული საქმე კია ველაპარაკებოდი მე ჩემს თავს, რომ ყველაფერი უბედურობა ჩემს კარზე უნდა დატრიოდეს. ბევრ უსიამოვნებას მოველოდი, მაგრამ თუ ასე მოულოდნელათ ამხედა მწუხარება გამოტყვერებოდა ეს კი აღარ მეგონა. აი თურმე სად მდარაჯობდა ბედის უკუღმართობა!

ასეთ მწარე ფიქრებსა და მოუსვენრობაში ვატარე ვგ სხვათათვის ბენდიერი დღეები და წერის უნარი დამიბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ორი სურათი მოვიგონე და დავხატე.

ეშმაკი.



ძველი ამბავი.

პატარა ვახტანგმა (რომელიც უკვე მეოთხე წელიწადია გიმნაზიაში სწავლობს,) როგორღაც ქართული კითხვა ისწავლა. გასაოცარი ამბავია: სად გამოატყერინა მან ანბანი, ვისგან ვაიგო რომელი მათგანი ანია, რომელი ბანი, რომელი დონი!

მართალია, კითხვის დროს პაპიროზის მეგიერთ მას ხელში მხოლოდ სპიჩის ღერი ეჭირა და იმით იკაფავდა ანბანთა შორის გზას, მაგრამ მიინც კმაყოფილი—მადლიერი იყო და თავსაც ამყავდ გრძნობდა.

და განა არა ჰქონდა პატარა ვახტანგს საამაყოთ საქმე? დიახაც რომ ჰქონდა! მის ძველ ქართულსა, და ერთ დროს სახელგანთქმული გვარის, ოჯახში ქართული ლაპარაკი მხოლოდ მოჯამაგირებებმა იკოდნენ, ხოლო წერა და კითხვა არავინ.

ქნიაჩენები პუტუ, ცაყა და ციბუ ქართულად ენის მომრუნებლასაც ვერ ახერხებდნენ და წერა კითხვაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ვახტანგის მამას, დიმიტრის, ხშირად სხვისი ლაპარაკი ესმებოდა თითონ რამოდენიმე უცნებურო სიტყვა იცის ნამდვილი ქართული გამოთქმით, ისიც რასაკვირველია მოჯამაგირებებისათვის.

ამ პირობებში გიმნაზისტმა ვახტანგმა საიდანაც იყო ქართული წერა-კითხვა ისწავლა. პირველათ რასაკვირველია ჟარსენას ლექსი* ჩაუვიარდა ხელში და სიამოვნებით გადიაკითხა რამოდენიმეჯერ. წარმოიდგინეთ უმეტესი ნაწილი ამ საუცხოო პოემისა ვახტანგმა თითქმის ზეპირად ისწავლა და როცა სახლში თავისიანებს უკითხავდა ხოლმე, იმისი ხმა ისე გაისმოდა, როგორც „ხმა მღალადღებისა უღაბნისა შინა“.

ვის არ მოეხსენება სიმღიდრე ქართული საბავშვო ლიტერატურისა! არა მგონია იყოს ქვეყანაზე სხვა ერი, რომელსაც ამ მზივრ შეეძლოს ჩვენთან შეჯიბრება. არც ერთ ნაციას არა აქვს, მაგალითად, საბავშვო ყვევლდიური ვახუთი, თუნდაც აი ისეთი, როგორიც ჩვენი „საქართველოა“.

მაგრამ ასეთ მწვერვალს ჩვენმა ერმა ამ უკანასკნელ წლებში მიაღწია; მიღწეა იმიტომ რომ ქართული ენა უკვე ცნობილია ჩვენს ენათ და გიმნაზიის დაბალ კლასებში მაღალი კონდნით აღჭურვილი ქართველნი თითონ ასწავლიან ქართულ ანბანს.

იმ დროს კი, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, საკმე სხვაგვარად იყო. და აი, როცა პატარა ვახტანგი ვატაცებთ კითხვობდა რაღაცა ქართულ ლექსს, თავს მოულოდნელათ ლათინური ენის მასწავლებელი, ნიკიფორ ივანიჩი წაადგა,

აკელი ისტორიკოსი



— შენ ეგ რასა კითხულობ ჩიპურტანიძეც, ა?

ენთ გამოუთქმელსა და კალმით აუწერელ მღვდმარეობაში ჩავარდა პატარა მკითხველი. მან ქალღლი ზურგთ უკან ამოიფარა, მაგრამ დაკვირვებული მასწავლებლის თვალს განა რამე გამოეპარებოდა?

— ეგ რასა კითხულობ ჩიპურტანიძეც!

— ? ! !

— არ გესმის? რასა კითხულობ მეტი?

— ქართული ლექსია შოი მღვიმელისა, ბატონო მასწავლებლო...

— აჰაა! შენ, გოკო*, ლათინურ, ენაში სამი გაქვს და აქ რაღაცა ქართულები მოგიწყია. კარგი, კარგი...

ლაპარაკი ამით გათავდა, მაგრამ იცინდნტი უფრო ტრალიკული გამოდგა და პატარა ვახტანგმა რამოდენიმე საათი დაპყო ბნელს ოთახში უსადილოთ. ამასთანავე ვახტანგის საქციელი მოხსენდა მის მშობლებსაც. მაშინ ერთი ორი კიდევაც უთავაზა ქართული ჩვეულების მიხედვით და სასტიკათ აუკაძალა შვილს სისულელეების ჩადენა.


არავინ იცის სად, ან რა პირობებში ცხოვრობს დღეს ვახტანგ ჩიპურტანიძე, მაგრამ თუ მოეწურო დღევანდელ დღეს, შოი მღვიმელის 30 წლის იუბილე უთუოდ მთავონებს მას ამ პატარა შემთხვევას, ხოლო აქ საილიუსტრაციოთ მოყვანილი სურათი თვალწინ დაუდგას ნიკიფორ ივანიჩის სიმპატიურ სახეს.

მორიელი

) ცხადია ეს დიალოგი რუსულ ენაზე სწარმოებდა, თორემ საცუვა ჟოკოს ნიკიფორ ივანიჩი ასე წმინდათ ვერ გამოსთქვამდა.

ეშმაკი.

ქართული სოკოპეტიონი.



გულუბრყვილონი.



ვანო. უუჰ, რა მშვენიერი ლექსები დაუწერია ძია შიოს!!
 ქეთო. ძლიერ მოგეწონა?
 ვანო. უთოდ უნდა ვაყიღვინო მამას ყველანი ერთად
 ქეთო. მთელი კრებული?
 ვანო. ჰოოდე...
 ქეთო. მერმე სად იშოვნენ?
 ვანო. რატომ?
 ქეთო. იმიტომ რომ ძია შიო ჯერ ცოცხალია და ერთად
 როდი დაბეჭდავენ...
 ვანო. მართლაა? აჰ, ნეტავი ადრე მაინც მოკვდებოდეს

ს ა ა თ ი.

(სასხაღვლო მითხრობა)

მსახიობე ვ. [ამაშიქს] სახლხო
 სახლას სანიტარეშოში სახათა და-
 ეკარგა. მსახიობეს ვთხოვთ რედაქ-
 ციაში შემოგეტანათ
 (გაზეთის განცხადებოიან)

არტუა ჯიბიერი, რომელსაც მეტ სახელათ
 არტუა ბებელს ეძახოდენ, სახლხო სახლის პარ-
 ტრის მეხუთე წყებაში იჯდა და, თუმცა სცენის-
 კენ იტყირებოდა, როგორც ყველა მაყურებელი,
 მაგრამ წარმოდგენა ადრე აინტერესებდა: არც ხე-
 დავდა და ვისმე და არც ესმოდა-რა.

მთელი მისი არსება რაღაც უმიზეზოსა და გა-
 მოურკვეველ უნდომობას შეეპყრო და ისეთ გუნე-
 ბაზე იყო, თითქო გულში კუპრი ჰქონოდეს დაგუ-
 ბებული.

სცენაზე მდგომარეობა შეიცვალა, ერთმა მსა-
 ხიობმა ყვირილი დაიწყო, მეორეს ცრემლი მოე-
 რია, ვიღაც ახალი შემოვიდა და ინდაურებით გი-
 ფუყა მედიდურობისა თუ სიამაყის გამოსახატავათ
 და უცებ ჯიბიერის გუნებაშიც მოხდა რაღაც ცვლი-
 ლება.

არტუა ბებელი კარგათ იცნობდა ამ უეცარ
 გრძნობას. ის გრძნობა ისეთი მწუხვე და ძლიერი
 იყო, როგორც მოყურებელი ლოთის სურვილი,
 როცა ღვინის გადაკვრა მოუხდებოდა ხოლმე, ან კი-

დეგ პროფესიონალ დამკვრელისა, დაკვრის ნდომა
 რომ აიტანს მძაფრათ მის არტისტიკულ ბუნებას.

არტუამ მიმოიხედა აქეთ-იქით ელვის სისწრა-
 ფით და ამ ერთ თვალის გადავლებით მთელი მე-
 ხუთე წყების მაყურებლები დათვალიერა.

— მანთაშოვები სხედან, რაღა!— ჩაილაპარა-
 კა მან ბრაზ-მორევით, როცა ვერავის მკერდზე
 ოქროს ძეწკვი ვერ შენიშნა.

შემდეგ არტუა წამოდგა, სწრაფათ გაიარა
 მუხლებსა და სკამებს შუა დი გზაზე გავიდა. ყო-
 ველი მისი მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა ისე სწო-
 რი და მიზან შეწონილი იყო, რომ ბარე 9 მაყუ-
 რებლის მუკლევნი ვინ გაიარა და ყურადღებაც არა-
 ვის მიუუქცევია მისთვის.

გასასვლელ კარებს რო მიადგა, სცენიდან ქა-
 ლის საშინელი კივილი მოესმა. არტუამ მოხიბდა.
 მსახიობი ქალი მოწყვეტით დეცა იატაკზე და
 ბრავგანი მოადინა. ჯიბიერმა ირონიულათ ჩაიცი-
 ნა, მითომ—ვის ატყუილებთ, შეილოსაო— და გა-
 სელა დააპირა, მაგრამ ამ დროს ფარად დაემე-
 მოისმა ტაშის გრაილი, უცებ მთელი დარბაზი ერ-
 თიანად განათდა და ხალხი აიშალა.

2 მოქმედება რჩებოდა კიდევ წარმოდგენის
 გათავისმანდ. არტუა ბებელი იდგა ერთ ადგილოს,
 კარებთან და ფიქრობდა რა გადაწყვიტა: წასვლა
 თუ დარჩენა. ბოლოს მაუბრუნდა ერთ გამვლელ
 თავანს და ზრდილობიანათ ჰკითხა:

— თქვენ გეცოდინებათ, პაეალსტა: ამაშიქე
 აღარ გამოვა სათამაშოთ?

სამზოგლო მნა ქართული ნაციონალისტის ოჯახში.

ეროვნული
გზაობის
თემა



ქეთუსია. მამა, ა მამა, სკაეი ჩტო ზდეს ნაპისანო..

„მამა“

ქეთუსია. მამა, მამუსია, მამოჩკა, სკაეი...

„მამა“. ოტყულა იო მოგუ ზნატ დედოჩკა... ბროს ეე ქორტუ...

თარგმანი.

ქეთო. დედა, დედიკო, მითხარი გენაცვალე აქ რა სწერია.

დედა.....

ქეთო დედა: დედიკო, დედილო მითხარი რა არის

დედა. აბა რა ვიცი, შვილო, რა სწერია, გადავღე იქით...

— არა, აღარ გამოვა, — უპასუხა გამვლელმა. მამინ არტუამ წასვლა გადასწყვიტა. მართალია, ფული ბევრი ჰქონდა, რამოდენიმე ძვირფასი ნივთიც ჯერ გაუყიდავი ეწყო, მაგრამ მაინც „სანადიროთ“ აპირებდა წასვლას. განა მძღარი კატა კი არ გამოუდგება ხოლმე თავს დასაპურათ, გული რომ გადააყოლოს და გაერთოს?

პალტო ჩაიცვა კიდევ და ის იყო უნდა წასულიყო, რომ უეცრათ სუნაღებულ მემებარივით შედგა და გაშემშდა.

არტუას ხელათ გაუქრა „ნადირობის“ წყურვილი, არტუა ჯიბგირი მოკვდა მასში და სამაგიერ

როთ ვაცოცხლდა არტუა ესთეტი, არტუა-არში ყი. ის აღტაცებით მისჩერებოდა ახალ-გაზრდა ლამაზ ჭალს, რომელიც რამდენიმე კაცის ჯგუფში იდგა და ხმა მალა კისკისებდა ისე ლამაზათ და სასიამოთ, რომ არტუაც აპყვა და თავისდა უნებურათ სიცილი დაიწყო.

— ვაჰ ვაჰ-ვაჰ-ვაჰ! რა მახლო რამ არის და! ვა, რა მახლო რამ არის და! — თუთიყუშოვით იმეორებდა გულში გამტყრებულ არტუა და თვალ არ აშორებდა ჭალს.

— მოდი დავჩქე, — გაიფიქრა მან: — ჰამ ქალის ცქერითაც ვაძღები, ჰამაც იმ დედალ ვანულა დავუცდი და ერთად წავალთ.

ვანუაღ ჯიბგირი იყო და არტუასთან ერთად მოსულიყო წარმოდგენაზე. არტუა ბებელს არ უყვარდა მშინაში, ხარბი და მუხანათი ვანუა, და ყოველთვის ზიზღით იხსენიებდა ხოლმე მას. ვანუს კი ეშინოდა თავზე ხელადებული არტუასი და მუდამ ეტმანებოდა, ფეხ-ქვეშ ეგებოდა და ელაქუსებოდა.

არტუამ გაიხილა პალტო და გამოუდგა ნიშანში ამოღებულ ქალს, რომელიც იმ ჯგუფს მონორა და ეხლა მარტო მიდიოდა ნელი ნაბიჯით.

— გოგონი-ჯანი!— ელოცებოდა გულში არტუა: შენ კი გენაცვალე მაგ ვარაყიან სახეში! ვანა მე შენი ვარდის ლოყების პროპტი მინდა? ნახუნაიცი*) მეყოფა, ჩემმა მშემ, ერთი ნახუნაიცი!..

ლამაზმა ქალმა პარტერის კარებისკენ შეუხვია და შეჩერდა, რადგან ბევრი ხალხი შედოდა და გზა არ იყო. არტუა დაეწია, მოტრიალდა და ისე ოსტატურად გაიქნია მარჯვენა ხელი, რომ ზედ ლოყაზე მოახვედრა ქალს, ერთი წამით შეაჩერა, შემდეგ სწრაფად გამოსწია, თითქო დაეწვია, მიბრუნდა ამფოთებულ ქალისკენ და წაილულულა:

— მინავით, ბარიშნა-ჯანი!

— *Нахаль!*— ესროლა რუსულათ ქალმა და პარტერში შევიდა.

— მი დღია ტეზია ნოსომ ზემლიუ პახალ,-- რითმით უპასუხა არტუამ და რაკი „ნახუნაიცი“ გული შეიჯერა, უკან გამობრუნდა. უნდოდა მეორე კარებით შესულიყო პარტერში და იქიდან ეთვალთვალებინა იმ ქალისთვის, მაგრამ მისი ყურადღება ორი კაცის ლაპარაკმა მიიპყრო და ის ქალიც დაავიწყა.

— ვასო აბაშიძეს? ჰკითხავდა ერთი.

— ჰო, კაცო, ვასო აბაშიძეს. უჯრაში ჰქონოდა შენახული. აღბათ, სცენაზე რომ იყო, მაშინ მოპარეს.— უპასუხა მეორემ.

— კარგი საათი იყო?

— კარგი იყო თუ ავი, მეტი კი არა აქვს და!

— ვინმე შინაური წაიღებდა...

არტუას სისხლი თავში აუვარდა, სასწრაფოთ შევიდა პარტერში და იქით გაიხედა, საცა ვანუა ეგულვებოდა. ვანუა არხინათ იჯდა თავის ადგილას და გულმშვიდით მისჩერებოდა ფარდის... წარმოდგენა გათავდა. არტუა ბებელმა საჩქა-

რობ ჩაიკვა პალტო, თითქმის ყველას გაასწორო კარში და კიბის ყურებში გაჩერდა დაჩაჯიჯით. მისი ხანჯალივით ბასრი თვალთუქვით გამომსვლელო არ უშვებდა და გაუთაცობით ხტოდა ერთი კაციდან მეორეზე. ვანუა რომ დინახა, უკან დაიხია, წინ გაუშვა და სული გატრუნა. ვანუა ცრტა ხნით შედგა, ირგვლივ მიმოიხილა დაკვირვებით, აღბათ არტუას ეძებდა, და რომ ვერსად დანახა, მარტო გაუდგა გზას. არტუა ფეხაყრფით დაედევნა ქუჩაში და თვალს არ აშორებდა.

ასე მისდევდა ვერის ხილის ყურადღებით. ბოლოს, რაკი ვერაფერი შეამჩნია, მოულოდნელათ სტაცა ხელი ჰკლავში, რკინის სალტესავით მოუჭირა და მძლავრი მოქცევით მოაჭრაილა. ვანუს შინისას გან თვალთ დაუბნელდა; არტუა რომ იცნო, ცრტა გულს მოეშვა, მაგრამ მაინც დამფრთხალ ნადირივით უტყუროდა ქვეშიდან.

— ვა, არტო-ჯანი, რა მოგივიდა?.. ვის გაუჯავრებინარ, კაცო?— ლულულუღებდა ვანუა.

— აქ წამო! მოკლეთ მოუჭირა არტუამ და კატის კნუტივით გააქანა ქუჩის ბნელი კუთხისაკენ. ბრახისაგან სული ეხუთებოდა. ვანუა მიხვდა არტუას სულისგვეთებას და მოსაგვრებლათ მოემზადა.

— მიატა საათი! ჩურჩულით უბრძანა არტუამ, ცხვირი ცხვირთან მიუტანა და თვალი გაუყარა.

— ვა, რა საათი, არტო-ჯანი?— ვითომ გაკვირვებით შეეკითხა ვანუა და ურცხვით გაუჩერა თვალი.

— მიატა მეთქი, ნუ ოინბაზობ!

— ვა, გეთა? ჩემთვის საათი როდის მოგიბარებია, რომ მოგცე, კაცო?

— შენა ხარ აბაშიძის საათის ქურდი... სხვა იქ არავინ იყო... მიატა, ჩქარა!

— ქვეაზე მოდი და! ვინ აბაშიძე, რა საათი?..— დაიწყო ვანუამ, მაგრამ არტუამ არ დააცალა, სტაცა მხრებში ხელი, მთელი თავისი ძალონით დაანჯღრია და ქუჩაზე წაიჩოქა.

— არტო-ჯანი, შენს მზესა ვფიცავ, მე არ წამილია! ლულულუღებდა შეშინებული ვანუა:— გინდა, ობისკი დამარტყი! ძაღლიშვილი ვიყო, თუ იმ საათის რამე ვიცოდლე!..

არტუამ ხელი გაუშვა. ზიზღით დახედა ზევიდან ოთხზე დაჩოქილ ვანუას, ფეხი ჰქრა ფერდში და წაიღო...

არტუა ბებელმა მეორე დღესვე დაიარა ყვე-

*) ნახუნაიცი— ლოყაზე მოფერებით ხელის მოხმა.

ლა მყიდველები, რომლებთანაც ვაწუას ნაქურდა-ლი საათის გაყიდვა შეეძლო და სასტიკით დაავა-ლო, მყისვე ეცნობებოდა მისთვის, თუ ვინცომაა ვანუა საათს მიუტანდა მათ.

დღე—დღეს მისდევდა, ღამე—ღამეს და საა-თი კი არსად ჩანდა. ბოლოს არტუა დაეკვდა კი-დეც, ვი თუ ტყუილად დავაბრალე და იმ საა-თის ქურდი ვანუა არ არისო. საკითხის საბოლოოთ გამოსარკვევით არტუამ გადასწყვიტა სხვა ოინისა-თვის მიემართა და თვით ვანუასაგან შეეტყუა მო-ხერხებით საქმის ნამდვილი ვითარება...

ავლბარის ერთ ყრუ ქუჩაზე ყველას ყურად-ღებას იქცევს ერთი უჩინარი წარწერა:

**Частрижка къ мастеръ
мою голову.**

ამ ეპიათ აქ სადალაქოა, ხოლო წინათ, რო-გორც ვადარეხილ ასოების მაგიერ ამოსული ძვე-ლი ასოები ამხელს, შესაათეს ჰქონია სახელოსნო. სწორეთ ამ ორ წარწერათა შეზავებას მოუვლენია ზემოთ მოყვანილი საარაკო განცხადება.

ი, ამ სადალაქის უკან ოთახში, 31 კრი-სტეშობისთვის ღამეს, სუფრას უსხდენ არტუა, ვა-ნუა, ორი მათი ამხანაგი და სამი დაქვერელი.

ახალი წლის დღემამდე, ე. ი. შუალამემ-დე ერთი საათი-და რჩებოდა და ყველანი რიგზე შეზარბოშებულნი იყვნენ. თამადა არტუა ბებელი იყო. ნელი დუღუკის დუღუნე საამურ სევდას გვრიდა ღვინისაგან ოდნავ აჩუყებულ გრძობას და არტუა თავ-ჩ.ღუნული ისმენდა თავის საყვა-რელ ხმას:

— ვაი რა დაქვარგე—ე... ძვირფა-ასი ლა-ლიი... ნდელიანათ სჩოდა მედლოე და დუღუ-კიე გულ ამოსკვით მოსთქვიმდა ძვირფასი ლლის დაქვარგვას

დუღუკის უკანასკნელი ძგერა რომ დადნა ჰაერში, არტუამ თავი მალა ილო, არწივივით დაელა თვალებით და ისე მაგრა დაჭრა სუფრას მარჯვენა მუშტი, რომ ვანუა უნებურათ შეტბო შიშისაგან.

— ძმებო-ჯან, იცი თ რად მიყვარს მე ეგ სიმ-ღერა?—დაიწყო მან:—ერთობის დროებას მაგო-ნებს ხოლმე, აი დღევტსტრპიტიში რომ იყო!.. მახლას, არტუა ჯიბგირო! ამის მხესა ვვატავ—არ-ტუამ მარჯვენა ხელი ღოყაზე მიირტყა—ის დრო-ება რომ ამხეყვარ წელიწადს კიდევ ისე დარბობი-ლიყო, არტუა დღეს კაცი იქნებოდა და ვანუას

გვერდით არ იჯდებოდა... ეგვი წავიდა; დაიკარ-გა ვაი რა დაქვარგე-ე, ძვირფასი ლალი...

— დაიწყო, რაღაც... ვანუა წყვეტილ ვანუამ.

არტუამ ხელში სახვე ჭიქა აიღო:

— ეს იცი თ, რა იყო? ეს ღმერთმა ადღ-გრძელოს ის ურია, რომელმაც რომ ურიათ უკ-პიტალი“ რამე დასწერა... სთქვა თუ: ოხრებ ყველა ქვეყნისა, შერთლთ და!..

არტუამ გადახვედა ამხანაგებს და რაკი და-ნახა, რომ მისი სიტყვა ვერაინ ვაიგო, წარბე-შეჭყარა და დაუმატა:

მეც გელოზარაკებით, რაღა! თქვენ რა უნ-ვაიგოთ, კაპუსტას მიგიგავთ თავები!.. ხეთქე-რაღა, სახე—ძალღებო!—და გადაჭრა.

— ვა, ურის სადღერძელო არ დავილი-ახლო წელიწად დღეს, აზრ ქრისტიანისა სთქ-და!—შენიშნა ვანუამ.

— ვანო-ჯან, მოდი—მე და შენ წმინდა ბ-სილი ვადღერძელოთ: ახალი წელიწადი ხომ იმ-სი დღეა?—ჩაერია ერთი ამხანაგთაგანი.

— ი, ეგ კარგია—ამას დაიღვე!—დაეთან-მა ვანუა:—ეს ღმერთმა ადღერძელოს წმინ-ბასილი, რომელიც კაღა რომა ქრისტიანია და ღმერთ დასწყველოს ყველა ურია და ურჯულა!..

წმინდა ბასილის სხენებაზე არტუა გამოკ-ცხლდა და თვალბში ემპაიური ნაბერწალი ეკვსა- გაიხედა დამკვერელებისკენ და რა-ინიშნა.

დამკვერელები წამოდგნენ და წასვლა დაა-რეს. მოკვლევა თხოვნამ არ გასჭრა, დამკვერელ-მა აღარ მოუცადეს და წავიდნენ.

არტუამ ერთი სადღერძელო კიდევ დალი-შემდეგ ადგა და წინა ოთახში გამოვიდა. მას ო-ამხანაგიც უკან გამოჰყვა და სუფრასთან მარტო ნ-ხევრათ მთვრალი ვანუა დარჩა.

— მხიდე?—ჩურჩულით ჰკითხა არტუამ ა-ხანაგებს.

— შიდი, შიდი! ჩურჩულითვე უპასუხეს მა-მაშინ არტუამ სწრაფათ გადაიტვა წინათ-დამზღილი ანაფორასაებ გაყვრილი ზეწარი, მი-რა გრძელი თეთრი წვერ-ულვაში, თავზე თეთ-ტილი მოიხვია და კარი შვაილა.

— არტო-ჯან, მიიშველეთ!..—მოისმა ვან-საზარელი ბღაილი.

— ნუ ღრიალებს ძალზე დამოხებულთა ყრუ ხმით უბრძანა არტუამ: მიცანი, ვინცა ვარ

— ვე... ვე... ვერა!
 — მე წმინდა ვასილი ვარ!
 — მამ... მერე რა... ვინდა... ჩჩ...
 — შენ ჩემ სეხნიას საათი მოჰპარე!
 — ვა, ვინ სეხნიას მე... მე... არა ვიცო-
 რა, რას ამბობს!
 — წადი ეხლავე და ვასო აბაშიძის საათი აქ
 მოიტანე...

— ვა, კარგი, კარგი, ალაჯანი შენმა მხემ,
 მე არ ვიცოდი თუ ის... აბაშიძე შენი სეხნია იყო,
 თორემ...—ლულულუღებდა გონება არეული ვა-
 ნუა.

— მოიტანე და არტუას ჩაბარე!
 — კარგი, კარგი, ალაჯანი, ემ საათშივე აქ
 გაიარე, ოღონდ შენ მამშორდი და!

არტუა მოტრიალდა და ნელი ნაბიჯით გა-
 მოვიდა წინა ოთახში, სწრაფათ შეგზავნა ამხანა-
 გები ვანუასთან, თვალის დახამხამებაში გაიხანდა
 ზეწარი და თითონაც შევიდა. ვანუას მკედრის ფე-
 რი ეღო და თვალბში შიშის ზარი ჯერაც არ
 გაჰქრობოდა.

— ვანუა, რა მოგვლია?—ჰკითხეს ამხანა-
 გებმა.

— არა უშავრა, ცოტა უღონოთ გავხდი...
 უნდა წავიდე... არტო-ჯანი მე ემ საათში დავ-
 ბრუნდები... არსად წახვიდე... შენთან საქმე
 მაქვს!..

ვანუას წასვლა და იქ დარჩენილთა გიჟური
 ხარხარი ერთი იყო...

ახალ წელიწად დღით, ასე 11 საათი იქნე-
 ბოდა, ვასო აბაშიძის ოთახის კარებთან ლაზათი-
 ნათ შეიკიკიკებული არტუა ბებელი იდგა, ცალ
 ხელს დვინიანი ბოლოებით სავსე კალათი მჭირა,
 მეორეს კი კარებს ურახუნებდა:

— გასპადინ აბაშიძე! გასპადინ აბაშიძე! ხრი-
 სტოს ვასკრეს, სნოვიმ გოდომ! ატკრო, მი ვამ
 მალენკი გასტინცუ პრინესლი-და! სეგოდნი ვაშ
 მენენიცა... ატკროი ატო უიღომ, ეი ბოლუ!

— ვინ ტუტუტუა ამ დილა ადრიან რომ კა-
 რებს მიმტვრევს?—მოისმა ოთახიდან გაბრაზებული
 ვასო აბაშიძის ნამძინარევი ხმა:—მოაწეკი, რაღა,
 შე ოჯახქორო, კარი ღიაა და!

არტუამ შეიღო კარი და ბარბაცით შევიდა
 ოთახში.

— ვასო-ჯანი, იცი რა მომიტანია შენთვის?

იცი რა მომიტანია? არა, შენ არ იცი, ჩემმა მხემ...
 არ იცი მეთქი და!

— ვინა ხარ, კაცო? არაფერი... არ მინდა შე-
 ნი, წადი მომშორდი, ერთი დავიძინო.

— ფიქვი არაფერი არ მინდაო? მე ვიცი, არც
 ეს გინდა არა, ჯერ არ გაჩვენებ.

არ ვაჩვენებ აბაშიძეს!
 თითონ ნახოს—ამაში ძვეს!

ლექსათ ჩაუღიღინა არტუამ:—როგორია, ჰა?
 კარგი შიირი ვითხარი, განა?—და არტუამ ნელ-
 ნელა ამოაძვინა კალათიდან ძეწვეთ ვასო აბა-
 შიძის საათი.

ვასომ თვალები მოიფშვინა, თითქო მოჩვენ-
 ნებას ხედავსო, მიაჩერდა საათს და გახარებულმა
 წამოიძახა.

— ვა, ჩემი საათი! შენ სად გქონდა, კაცო?

— მაშ ვის უნდა ჰქონოდა, ჩესტ იმე-
 პრედსტავლიატა: არტუა ჯიბიერი.

— მაშ, შენ მოგობარავს?—ჰკითხა გაშტერე
 ბულმა ვასომ.

— მაშ არა და, მირავოი სუღია მოგობარავ-
 და!.. წაიღე, რაღა!..


ერთი საათის შემდეგ საღამური პერანგის ამა-
 რა ვასო და არტუა ბებელი ბოთლებით ვარაზმულ
 რგვალ სტოლს უსხდნენ და ტკბილათ კიკიკობ-
 ნენ.

— არტო-ჯანი, იცი, რა ძნელი ყოფილა
 უსაათობა?—ეუბნებოდა შეწითლებული ვასო:—
 ყველგან ვაგვიანებდი, სადილებზე, რეპეტციებ-
 ზე... რეპეტციებს შენი ჭირი წაუღია, ორჯერ
 „პაკრიშკაზედაც“ დავიგვიანე.

— რაზეო? პაკრიშკაზეო? შენ რა ფრანცუ-
 ლათ მელაპარაკები?

— პაკრიშკა არ იცი, არტო? აი ლოტოსრო
 თამაშობენ, კლუბებში. ჰო, მართლა, მე კიდევ
 დამაიწეწედა, რომ იქ პატიოსან ჯიბიერებს არ უშ-
 ვებენ...

თავგუნა.



კორესკონდენტი.

„კუნტრუცა მიყრუებული სოფელია, აქ საქონლის ქირი გაჩნდა. ბიბლიითეკა არ გვაქვს. ეს საქვეს აქირავებს“.

ეს პატარა შენიშვნა დაისტამბა ერთ ყოველ დღიურ გაზეთში, ამ რამდენიმე თვის წინეთ, ხოლო დამწერმა ბოლოზე თავისი გვარი საესებით მოაწერა. შენიშვნა, როგორც ხედავთ, პუბლიცისტური არ არის, პოეზიასაც არა სცხია რა, მარა რაკი ის სტამბის ქაზრაკებში გატარდა—დაისტამბა—და ქვეყანას მოეფინა, და,—რადგანაც ყოველ დამწერს, რისიც უნდა იყვეს ის, ავტორი ეწოდება, ამ შენიშვნის დამწერიც რა თქმა უნდა „გაავტორდა“ და ეს ხომ დღეს დიდი თიბაუთია ზოგიერთებისათვის. „ავტორის სიხარულს სახლვარი აღარ ქონდა, როცა მან გაზეთში საკუთარ კალამის ნაწარმოების ქვეშოდან თავისი გვარი საესებით ამოიკითხა, „ხრიკაძეო“, პირიველად ის ამ ბედნიერებას თვალს არ უჯეროდა და მთელი ორი კვირის განმავლობაში დღე ისე არ გავიღოდა, რომ გაზეთის ეს ნომერი ორჯერ, მაინც, არ ამოეღო ჯიბიდან და თავისი გვარი არ ამოეკითხა. ჯიბით ტარებამ ეს ნომერი ერთობ შელახა, მარა ჩვენი ხრიკაძე კუნტრუცელ ნაცნობ მეგობრებში მიიღო თამაზად ამოიღებდა სანახევროდ ნაფლეთებთა ქვეყულ გაზეთს და, რომ ვ-სიმე ყურადღება მიექცია, ზედ დაუცქერებოდა. ამ დროს ისე ჩაფიქრდებოდა, რომ გეგონებოდათ ქვეყნიერების დეჩი ხრიკაძეს უგვია ხელში და ახლა იმაზედ ფიქრობს, თუ საით მიატრიოლოს ის, რომ ამით საკაბრიობის ბედ-იღბალი შეაყ-შემოარყოსო. სახე დაღერემილი, ცალი ხელი თავზე ქვეშოდან შებჯენილი, ხოლო მეორე მაგიდაზე გაშლილ გაზეთის ნაფლეთებზე დადებული, თავის ხშირი ვადაწყვე-გადმორყევა, რასაკვირველია საზოგადოების ზოგერთთა გულუბრყვილო წვერის უყურადღებოდ არ დარჩებოდა. და თუ ამ დროს ვინმე „ავტორს“ ამ აღრმა ფიქრების მიზეზს შეეკითხებოდა, ის დინჯათ უპასუხებდა: „ჩვენი მწერლობა წინ მიდისო“. ამის დასასაბუთებლად გაზეთში სწორედ იმ ადგილზე ანიშნებდა, სადაც იმისი გვარი „ხრიკაძე“ მეტის მეტი თითის გასმით, თუმცა ვადაშლილიყო, მარა მაინც ამოიკითხებოდა.

ანა-ბანას მკონდნეც კი არ დარჩენილა კუნტრუცაში რომ ხრიკაძის გაავტორება, თუ პირდა-

პირ, თუ განიდან არ გავგოს. გულწრფელობით იყო, თუ გულის სიბრუდით, მასკრეპენის მხრით უქებდენ ამ „გახარისხიანების“ უწყვილად კი არ არის ნათქვამი,—ქვეყნის შეძახება ხეს კიდევაც გაახმობს და კიდევაც ვაანდლებსო. ამ ქვეყნის შეძახებამ ხრიკაძე ისე წაათამაშა, რომ ცოტა ხნის შემდეგ თავი მართლა მწერალი ეცონა. და რომ ამ შინაგან ტვილილებასთან ვარგვანიც შეეხამებია, წვერი სხვანაირად დაიყენა, თმა დაიგრძელა, ცხვირზე სათავალე წაპოკუნქურება და იმის ზემოდან გადმოიხედა. ლაპარაკი ნელი, სიარული დინჯი, მიხრა-მოხრა ზანტი, ილიაში წიგნი, ან გაზეთი, ერთი სიტყვით საამდროვო „მწერლის“ შინაგან ვარგვანი თვისებით და კუთვნილებით აღიქურვა კაკალი კაკო. მოდი და ნუ აღოკუნდები განა ხუმრობა კაცმა გაზეთში დაბეჭდული თავისი გვარი ქვეყანას წასაკითხად გადუშლოს? მარა წარმოიდგინეთ ხრიკაძის განცვიფრება, როცა მან ვაი-გო რომ მისს გულითად ნაცნობ მეგობრებშიდა აღმოჩნდნენ ისეთი „ჩამორჩენილები“; რომლებიც კუნტრუცელის შენიშვნა არ წაუკითხავს. და ეს გამოიჩინა მაშინ, როცა ერთ მშენიერ დღეს, ხრიკაძე ქალაქად ჩამოვიდა და ერთ საღამოს გულითად მეგობარს ესტუმრა.

— გაზეთს კითხულობ? ეს იყო ჩვეულებრივი მისალმების შემდეგი ხრიკების პირველი კითხვა.

— როგორ არა. უპასუხა მასპინძელმა.

— ამ მოკლე ხანში რა უფრო საგულისხმიერო წაიკითხე?

— ერეტალის საგარეო პოლიტიკა.

— არა ადვილობრივია.

— ნიკოლაძის საფურო კავიეები.

— ადვილობრივი აღუშის“ დაღვნილება ფეხშიშველ მუშათა მღვამარეობის გასაუმჯობესებლად.

— კაცო, ნუ თუმეტი არა წაგაკითხავს რა ისეთი, რომ შენი ყურადღება უფრო მიექცია?

— შეიძლება წვრილმანები რამე წამეკითხოს, მარა ახლა აღარ მასსოეს.

— წვრილმანები კი არა, სხვილმანები.

— არა.

— მაშ, როგორც ვატყობ შენ ჩემი ნაწარმოები არ წაგაკითხავს? გულ ნატყენად შეეკითხა ის მოსაუბრეს და ჯიბიდან გაზეთის დაფარატინებული ნომერი ამოიღო, რომელსაც ავგაროზივით თან ატარებდა, გადუშალა და თითი იქ დაუღო სადაც „ხრიკაძე“ ძლიერძლიობით ამოიკითხებოდა.

სპინძელმა წაიკითხა, გაიღიმა და, რომ სტუმარი რ შეურაცხეყო, თავაზიანად უთხრა: აღმამიანი ცოვილია, რა ექნა, ალბად ეს ნომერი გამომპარვი ა შენი წერილიც ვერ წაივითხე.

— და მერე ეს გეპატივება? კაცო შრომობდეს, უტრდეს და იმას არ კითხულობდენ. ამ ნაირი მადურობით ხომ ყოველ მწერალს უკარგავთ ხანისს! უთხრა ეს და გულმოსულმა ოთახის კარი რქდან მიიხურა: მასძინძელს ეს ჯერ ხუმრობა ეონა. ის ამა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ასეთ უბრალო მიხეზით სტუმარი განრისხდებოდა და ვიღოდა.

ბრიკაძე აღარ დაბრუნდა.

თუ საით წაიდა სტუმარი, დილაშდის ამის გება მასძინძელს აღარ შეეძლო. ვათენდა დილაც კინძელი ფიქრობს, რომ გულმობრუნებული ხრიძე შემოვა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ მასამე დღეს გილობრივი გაზეთის ახალ ამბავში ამოიკითხა: „საავადმყოფოს ამა და ამ ოთახში მოთავსებულია სულით ავადმყოფი ხრიკაძე“ო. ელდა ნაქმი, ის მაშინვე გაექანა საავადმყოფოში, სადაც კარებმა უთხრეს, რომ ავადმყოფი ახლა ბურვად მივიდნდილია და ნახვა მისი არ შეიძლებაო; ამების აზრით სიყვარულის ნიადაგზეა მისი შერვა, რადგანაც სულ, რადაც წერაღს ახსენებოა. ეთუ ისე, ის ფაქტი იყო, რომ ხრიკაძე შერი-

ა. ბლიკვაძე

ვენა ჟურნალ-გაზეთების კი- ოსკში.

ფოთა

მკითხველი—მომეცით ჩემი „სახ. ფურცელი“.

მეგაზეთე—არ მოსულა ბატონო!

მკითხველი—კაცო თუ სხვა გაზეთები კი თა-
დროზე მოდის, „სახ. ფურცელი“ რაღა და-
ეა რომ ყოველთვის ასეთ ბარემ თქვეთ მარტო
მოკრატების გაზეთის ვაფრცელებ და სხვას კი
ა თქვა.

მეგაზეთე—შენ, ჩემო ძამია, არ იცი და ისე
ხამ დამწვარზე მდულარეს, უკეთესია თავი დაანე-
რაც არ იცი და წახვიდე აქედან.

მკითხველი—რა მდულარე უნდა, ავი მართა-
ლია თქვენი ერთჯერაც რომ დაგეანდნა შეწყენას
შესძრავთ და ჩვენი ფეხებზე გიკითხაო.

მეგაზეთე—(ბრაზმორეული) გამშორდი აქედან
გამეცალე, ჩემი ცეცხლი მეყოფა მეთქინ სანამ სა-
მაგიეროს მიიღებდე.

მკითხველი—გაგშორდები ამა შეშლილთან
რავა მევიცდი თუ მართალი ვითხრა კაცმა ვადაი-
რევი...

მეგაზეთე—(აწყვეტინებს)—მომშორდი შენი სი-
მართლე და შენი სულელი თავი წაიღე გარეთ მთე-
ლათ (მიიწვეს).

მკითხველი—მოგშორდები მარა გავიგებ იმა-
საც, ფულს მახთიგენ ვაზეთს არ მაალევენ და კი-
დევ ვალახვას შემუქრებიან და მლანძღავენ (მოდის
ბუზღუნით გარეთ)

მეგაზეთე—ახლა რა უნდა ექნა? ვინცხას ან
მივკლავ ან თავს მოვავლიემ! ჩემი ნამუშეიერი დარ-
ჩენილ გაზეთის ზარაღს არ ყოფნის და ბრალს კი-
დევ მე მღებენ, მოდი და ელაპარაკე ასეთ სულე-
ლებს. (გაჩქარებით დიდის წინ და უკან).

მკორე მკითხველი—(მკვახეთ) მომეცი ჩემი
„აზრი“.

მეგაზეთე—(ერთს შეხედავს და არ უპასუხებს)

მკითხველი—მოიტათ, მომეცით „აზრი“

მეგაზეთე—აზრი და თვალი ღმერთს რომ არ
მოუკცა მე საიდან მოგცე, რავა ვერ ხედავ თუა
გაზეთი?!

მკითხველი—(ნიშნის მოგებით) რაფერ იქნე-
ბა კუტავ! ფული არ გექნება ვაგზავნილი და მა-
ნამულუა აღარ აგზავნიან ახლა.

მეგაზეთე—(კოფმორეული) რაო? რა თქვი?
ფული არ გექნება ვაგზავნილი? მიგარდება უჯრას-
თან, ამოიღებს რაღაც კვიტანციებს, მიაშურებს მკი-
თხველს და თვალზეში აზრის—წაიკითხე, წაიკითხე,
მეთქინ. (ყვირილზე სხვებიც მოდიან და კითხუ-
ლობენ), „Тифлись. Олгинская 6. 100 руб.
„Зак. Рѣчь“ 80 р. „Сах. Пур.“ 100 руб. არ
გამიგზავნია? ამა რა არის ავი შენ პრავაკატორო
შენ უნდა მიჩიოდე ამას? ორი თვის გაზეთის ფუ-
ლი არ მოვიცემია და კიდევ პრავაკაციას მიკეთებ
აქანაი? ან წუთღე უკან შენი ცილის წამება და ან
უნდა ვაგწორდეთ, გამოიდი თუ კაცი ხარ (ძბრა-
ბს ქვაქავანას).

მკითხველი—თუ კაცმა ენა შეგებრუნა შეი-
შლები, შენთან არც ღირს ლაპარაკი: ბრუნდს და
მართალს ყველას დველში იწვევ ვითამ ტარსელი

იყო, მარა რა გასაკვირია მდგომარეობა ქმნის იდე-
იას, აქნაი რომ ჩამოდი ფარგასავით იყავი და ახ-
ლა სიბა რომ გაღმებრუნე „ღველის“ ხასიათზე
დადექი, მარა ვიკითხავ სადაც „აღვილია“ ამასაც.
(მიღის გარეთ).

მეორე დღეს.

(ჩინოვნიკი და თანაშემწე) ჩი-კი—дайте
„З. Рѣчь“.

მეგაზეთე—დეა ნომერ მესტო გასპოდინ ბარინ
ჩი-კი—Давай послѣдній номеръ.

მეგაზეთე—ნემოქენა ვაში ბლაღოროდია.

ჩი-კი—Я тебѣ покажу „неможна“ (იღებს
გაზეთს და ავღებს „შუორინას“)

მეგაზეთე—(გაბრაზებით)—შტო პაკეი პაკეი
მარა მოი გაზეთ მოი პრავა მოი დელა ლუჩი ჩუ-
ყოი ზნაი. დეა დნია გაზეთ მესტე პრიხალ მესტე
პრადლიომ კტო ხოჩით ხოჩით ნეხონით ადელნი ნე-
მოქენა.

თანაშემწე—ჩეთწყვიტე ბიკო მაგი ენა! ვისთან
ბედავს აგი ტუტუცი! მოშორდი აქედან დაიკარგე.

მეგაზეთე—(ნახევრათ შეშლილი)—შენ ვინდა
ხარ? რაში გეკითხება ჩემი საქმე! ნუთუ არ გეყო-
ფა ვინც მიწყდება და შენი მიხმარება სკირია, შე-
ნი ხელქვეითი ხომ არ გგონივარ?

თანაშემწე—(აწყვეტინებს) დაიკარგე, მოშორდი მე-
თქინ თავიდან (მიიწევს მეგაზეთეთზე).

მეგაზეთე—(გალმასებით) ბიჯსაც არ გადავ-
სდგამ ინებეთ რაც გნებოდეს მე არ მეშინია... შე-
ნი ყვირილის ქურდებს და ავახაკებს გშინია მე კი
თავისუფალი მოქალაქე ჩემი მარჯვენით მშრომელი
გახლავარ. ოფლით, ოფლით სოველ ალაღ ლუკმას
ვკამ გესმის! პარაზიტი წურბელი არ ვარ, არავის
უბედურობაზე არ ვაშენებ ჩემს ბედნიერებას, არ
მეშინია.

თანაშემწე—(უხერხულობაში) Воть нахаль.
ჩი-კი—Отставьте не стойть (მიღიან).

(ხმაურობაზე ხალხი მოგროვდა)

მაყურებელი—შე კაცო ყოლიკაცი ერთი კი
არ არის—აგინი რომ არ შეგარჩენენ ხომ იცი რა-
ტომ ქენი?

მეგაზეთე—კატორღაშიც გამგზავნონ ოღონდ
ჩემი სინდისის წინაშე ვიყვე მართალი, უმუშევრებს
ორ ნომრებს ვაძლევ და ჩინოვნიკებს ერთი მივეცი-
ლო? ამას არ ჩავიდენ არა.

მაყურებელი—კაცო! რატომ არის კომ მუ-
დამ იგვიანებს აგი გაზეთები? გამაგებინე ერთი ვი-
სი ბრალია ამდენი დავიდარაბა? **მეგაზეთე**—ვი ბრალმა დასცა ვინცხაის ბრა-
ლი აგია, ამა რამ შემშალა კაცო, მკითხველები მა-
რთალი არ არიან ვითომ? რედაქციები და კანტო-
რები, გამოგზავნის ხარჯები რომ შეამოკლონ ფო-
ფის გაზეთებს სამტრედიაში აგზავნიან და სამ-
ტრედელმა ავტმა თუ ნახა ვინმე ფოთში მომა-
ვალი ქე გამოატანს, თვარა ქე ავღია ოქინეი და მე
კი ათას ცილის წამებას და უმართლო ლანძღვა
გინებას მაყენებენ. ხშირათ ეს „ნარუკათ“ გამოგზა-
ვნილი გაზეთები კიდევაც იკარგვის.

მაყურებელი—არ შეიძლება რომ პირდაპირ
ფოთში გამოგზავნოს გაზეთები? აგი მკითხველებმა
რომ შეიტყოს ფხარს დაგიკერენ.

მეგაზეთე—კი შეიძლება მძაო და სარგებელი
შიაც იქნება რედაქციები. ნ მანეთ ხარჯს ემაღვიან
და 50 მანეთის გაზეთები რჩება გაუყრდავი ამის
მუხებით, მარა ქართული „ბუხგალტერია“ ამ გვა-
რია და რა გაეწყობა.

ბუტუნა



დეკემბრი.

ფოთი

ქალაქის აფთეკის გაფიცული მოსამსახურეები დაიბარა ბანმა ტყემალაძემ და „ალიაში“ გაიტარა მარტო იმით რომ მოსამსახურეებიდან წარდგენილ ეკონომიურ მოთხოვნებიდან როგორც გაბედულტ მოთხოვნები დააწერეთ და არა თხოვნაო. უჩინა გაფიცულებს „ბოდიშით“ უკან წაეღოთ ეს „ქუჩური Выхажение“ და თავიანთ ადგილებზე დაბრუნებულიყვენ სამუშაოთ, მარა ჯიუტმა გაფიცულებმა მოისმინეს რა მოურავის დარიგება მოიგ კითხვებზე ვადასვლა სცნეს საჭიროთ და არა ბოდიშის მოხდა.

გამგეობის საქარა კრებაზე გამოითქვა გაფიცულების საწინააღმდეგო აზრები და აფთეკის იჯარის ვაცემის სურვილი, საქმე ვადაიდვა.

აფთეკაში რამდენიმე დღეა მარტო გამგე მუშაობს დღიან ღამიანა დაუსვენებლივ მარა რეცეპტების მომზადება დღეობით გვიანდება, გაფიცულები სემართლიანად თვლიან თავიანთ მოთხოვნილებას და მიუხედავთ მრავალი მუქარისა ჯერ „შახათ“ არიან.

იქიდანვე—წესიერების დამცველები „მოვალეობის“ ასრულებამზე ერთი მეორეს შეეცილენ

(გარადავოი და დრუჟინისტი) გაჩაღდა სროლა და ხმლების ფრიალი. რადგან ხალხის სროლის შიშით დიდხანს აქა-იქ მიიმალენ ვინ ვაიმარჯვა ვერ ვავიგეთ ბრძოლის დროს მსხვერპლი არ ყოფილა—სისხლი კი.

იქიდანვე—ჩვენ და მოულოდნელად და სასიხარულოთ უბრავემ თავის მაღაზია და ფურნე დაუთმო კოოპერატივის წლიურათ 800 მანეთად და ამ თანხის ჰაიკ შეიძინოს უნდა კოოპერატივიდან, რაც დიდათ სასარგებლო კვალს დააჩენს კოოპერატივის არსებობას და გამგეობის არა ჩვეულებრივ მოღვაწეობასაც, მარა ეს მოულოდნელი სამართლიანი ნაბიჯი ვერ მოითმინა ზოგიერთმა ხმოსნებმა და როგორც ვავიგეთ დადგენილების გასაჩივრებას აპირობენ თურმე ვაჭარ სმასან კოვანას და ჯომიძის მეთაურობით. ამ უზადრუკებს ალბათ არ ვაუკითხ რომ მთავრობა თვითონ ემარება კოოპერატივებს ამ საშინელ ხანაში, რა ვასაკერიო ვაქრებს კოოპერატივების გაძლიერება და მოშენება როგორც ამბობენ არ ეხერხებთ.

ბუტ. ხაგენტო

F64

„უშვაპის მართახის“ მკითხველებს

რადგანაც ვამოცემა მეტის მეტად ვაძვირ და, ვამომცემლობა იძულებულია ყურნალის ფასს 2 კაპ. მიუბატოს. ე. ი. დღეიდან ვიღრე მდგომარეობა შეიცვლება 10 კ. მივიერ ეღირება № 12 კაპ.

პატივისცემით ვამომცემლობა

